

# შპს „მზერო“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....4

2. მომზადების საფუძველი.....4

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....4

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....8

5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....9

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....9

7. სხვა შემოსავალი.....9

8. რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები.....9

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....9

10. საკურსო მოგება/(ზარალი).....9

11. ძირითადი საშუალებები.....10

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....10

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....10

14. საგადასახადო აქტივი.....11

15. ფული და ფულის ეკვივალენტები.....11

16. მიღებული სესხები.....11

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....12

შპს “მზერო”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                       |          | 2024              | 2023              |
|---------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
|                                       | შენიშვნა | (არააუდიტირებული) | (არააუდიტირებული) |
| შემოსავალი რეალიზაციიდან              | 5        | 7,260,120         | 7,385,346         |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 6        | (5,412,162)       | (5,685,747)       |
| <b>საერთო მოგება</b>                  |          | <b>1,847,958</b>  | <b>1,699,599</b>  |
| სხვა შემოსავალი                       | 7        | 361,458           | 318,966           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი       | 9        | (571,798)         | (463,685)         |
| რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი    | 8        | (566,211)         | (471,353)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>              |          | <b>1,071,407</b>  | <b>1,083,527</b>  |
| ფინანსური შემოსავალი                  |          | -                 | 372               |
| ფინანსური ხარჯი                       | 16       | (116,082)         | (118,337)         |
| საკუროსო მოგება/(ზარალი)              | 10       | (74,410)          | (5,132)           |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>             |          | <b>880,915</b>    | <b>960,430</b>    |
| მოგების გადასახადი                    |          | (66,873)          | (50,564)          |
| <b>წლის სრული შემოსავალი</b>          |          | <b>814,042</b>    | <b>909,866</b>    |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს:

კახი წაქაძე  
დირექტორი

შპს "მზერო"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                       |          | 2024              | 2023              |
|---------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
|                                       | შენიშვნა | (არააუდიტირებული) | (არააუდიტირებული) |
| შემოსავალი რეალიზაციიდან              | 5        | 7,260,120         | 7,385,346         |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 6        | (5,412,162)       | (5,685,747)       |
| საერთო მოგება                         |          | 1,847,958         | 1,699,599         |
| სხვა შემოსავალი                       | 7        | 361,458           | 318,966           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი       | 9        | (571,798)         | (463,685)         |
| რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი    | 8        | (566,211)         | (471,353)         |
| საოპერაციო მოგება                     |          | 1,071,407         | 1,083,527         |
| ფინანსური შემოსავალი                  |          | -                 | 372               |
| ფინანსური ხარჯი                       | 16       | (116,082)         | (118,337)         |
| საკუროსო მოგება/(ზარალი)              | 10       | (74,410)          | (5,132)           |
| მოგება დაბეგვრამდე                    |          | 880,915           | 960,430           |
| მოგების გადასახადი                    |          | (66,873)          | (50,564)          |
| წლის სრული შემოსავალი                 |          | 814,042           | 909,866           |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს:

\_\_\_\_\_

კახი წაქაძე

დირექტორი



შპს “ზერო”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                       | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2024<br>(არააუდიტირებული) | 31 დეკემბერი 2023<br>(არააუდიტირებული) |
|---------------------------------------|----------|----------------------------------------|----------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                                        |                                        |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                                        |                                        |
| ძირითადი საშუალებები                  | 11       | 3,792,297                              | 3,709,570                              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>3,792,297</b>                       | <b>3,709,570</b>                       |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |          |                                        |                                        |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები        | 12       | 954,061                                | 859,164                                |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 13       | 1,410,330                              | 1,390,532                              |
| საგადასახადო აქტივი                   | 14       | 121,433                                | 65,227                                 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 15       | 78,636                                 | 160,149                                |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>2,564,460</b>                       | <b>2,475,072</b>                       |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>6,356,757</b>                       | <b>6,184,642</b>                       |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>              |          |                                        |                                        |
| გაუნაწილებელი მოგება                  |          | 4,020,520                              | 3,585,425                              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>4,020,520</b>                       | <b>3,585,425</b>                       |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |          |                                        |                                        |
| გრძელვადიანი სესხები                  | 16       | 1,144,221                              | 1,428,818                              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>1,144,221</b>                       | <b>1,428,818</b>                       |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>        |          |                                        |                                        |
| მოკლევადიანი სესხები                  | 16       | 538,086                                | 515,594                                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 17       | 653,930                                | 654,805                                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>1,192,016</b>                       | <b>1,170,399</b>                       |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>6,356,757</b>                       | <b>6,184,642</b>                       |

შპს “ზზერო”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის  
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                        | საწედბო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი |
|----------------------------------------|---------------------|-------------------------|--------------|
| 1 იანვარი 2023 (არააუდიტირებული)       | -                   | 2,962,086               | 2,962,086    |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი        | -                   | 909,866                 | 909,866      |
| მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები: |                     |                         |              |
| დივიდენდის გამოცხადება                 | -                   | (286,527)               | (286,527)    |
| 31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)    | -                   | 3,585,425               | 3,585,425    |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი        | -                   | 814,042                 | 814,042      |
| მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები: |                     |                         |              |
| დივიდენდის გამოცხადება                 | -                   | (378,947)               | (378,947)    |
| 31 დეკემბერი 2024 (არააუდიტირებული)    | -                   | 4,020,520               | 4,020,520    |

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „მზერო“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2014 წლის 11 მარტს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400113088.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯის მასალებითა და აქსესუარებით და კომერციული ფართის იჯარით გაცემა.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, სერგეი ლაზოს მიმდებარედ ლაზოს ქ. N1.

**კომპანიის მეწილეები:** კომპანიის მეწილეების სტრუქტურა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| მესაკუთრე                      | 31 დეკემბერი<br>2024 (%) | 31 დეკემბერი<br>2023 (%) |
|--------------------------------|--------------------------|--------------------------|
| ლევან ზაალიშვილი, 01019002357  | 33.4 %                   | 33.4 %                   |
| თეა ზაალიშვილი, 01019034911    | 33.3 %                   | 33.3 %                   |
| გიორგი ზაალიშვილი, 01019017237 | 33.3 %                   | 33.3 %                   |

**საქართველოს ბიზნეს გარემო.** კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                   | აშშ დოლარი | ევრო   |
|-------------------|------------|--------|
| 31 დეკემბერი 2024 | 2.8068     | 2.9306 |
| 31 დეკემბერი 2023 | 2.6894     | 2.9753 |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარჩების გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

**ძირითადი საშუალებები.**

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი                     | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---------------------------|------------------------------|
| შენობა-ნაგებობები         | 10-40                        |
| მანქანა-დანადგარები       | 3-10                         |
| საოფისე და სხვა ინვენტარი | 5                            |
| სხვა                      | 3-10                         |

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივები

- **აღიარება და შეფასება.** შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი.

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოადგენელ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს “ზეერო”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                                                      | 2024             | 2023             |
|------------------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან | 6,767,271        | 6,906,662        |
| შემოსავალი მომსახურებიდან                            | 492,849          | 478,684          |
| <b>სულ</b>                                           | <b>7,260,120</b> | <b>7,385,346</b> |

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასს, მარაგებთან დაკავშირებულ ნორმატიულ დანაკარგს, და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს იჯარიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც 2024 წლისთვის შეადგენს 361,458 ლარს (2023: 318,966 ლარი).

8. რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                 | 2024             | 2023             |
|-----------------|------------------|------------------|
| ხელფასის ხარჯი  | (562,686)        | (458,425)        |
| იჯარის ხარჯი    | (1,864)          | (11,034)         |
| მიწოდების ხარჯი | (1,661)          | (1,894)          |
| <b>სულ</b>      | <b>(566,211)</b> | <b>(471,353)</b> |

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                              | 2024             | 2023             |
|------------------------------|------------------|------------------|
| ხელფასის ხარჯი               | (125,194)        | (161,406)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია         | (106,917)        | (105,274)        |
| საპროექტო მომსახურების ხარჯი | (76,745)         | -                |
| დასუფთავების ხარჯი           | (58,229)         | (21,299)         |
| ბანკის მომსახურების ხარჯი    | (53,373)         | (40,445)         |
| კომუნალური ხარჯი             | (37,312)         | (44,360)         |
| საგადასახადო ხარჯი           | (28,853)         | (24,878)         |
| დაზღვევის ხარჯი              | (19,563)         | (17,028)         |
| პროგრამული მომსახურება       | (19,142)         | (10,456)         |
| სხვა                         | (46,470)         | (38,539)         |
| <b>სულ</b>                   | <b>(571,798)</b> | <b>(463,685)</b> |

10. საკურსო მოგება/(ზარალი)

საკურსო მოგება/(ზარალი) შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                               | 2024            | 2023           |
|-------------------------------|-----------------|----------------|
| მიღებული სესხები              | (73,714)        | 13,178         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები   | (372)           | (18,287)       |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | (324)           | (23)           |
| <b>სულ</b>                    | <b>(74,410)</b> | <b>(5,132)</b> |

შპს “ზუგდიდ”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული<br>ღირებულება | შენიშნა-<br>ნაგებობები | მიწა    | მანქანა-<br>დანადგარები | საოფისე და<br>სხვა<br>ინვენტარი | სხვა   | სულ       |
|-------------------------|------------------------|---------|-------------------------|---------------------------------|--------|-----------|
| 31 დეკემბერი 2022       | 2,850,622              | 194,488 | 605,488                 | 21,459                          | 11,575 | 3,683,632 |
| შემოსვლა                | 241,375                | 775,615 | -                       | 2,110                           | -      | 1,019,100 |
| გასვლა                  | -                      | -       | -                       | -                               | -      | -         |
| 31 დეკემბერი 2023       | 3,091,997              | 970,103 | 605,488                 | 23,569                          | 11,575 | 4,702,732 |
| შემოსვლა                | 130,705                | -       | 58,940                  | -                               | -      | 189,645   |
| გასვლა                  | -                      | -       | -                       | -                               | -      | -         |
| 31 დეკემბერი 2024       | 3,222,702              | 970,103 | 664,428                 | 23,569                          | 11,575 | 4,892,377 |

დაგროვილი ცვეთა

|                   |           |   |           |          |         |             |
|-------------------|-----------|---|-----------|----------|---------|-------------|
| 31 დეკემბერი 2022 | (295,455) | - | (572,055) | (11,168) | (9,211) | (887,889)   |
| ცვეთის ხარჯი      | (98,007)  | - | (6,031)   | (1,235)  | -       | (105,273)   |
| გასვლები          | -         | - | -         | -        | -       | -           |
| 31 დეკემბერი 2023 | (393,462) | - | (578,086) | (12,403) | (9,211) | (993,162)   |
| ცვეთის ხარჯი      | (97,453)  | - | (8,543)   | (922)    | -       | (106,918)   |
| გასვლები          | -         | - | -         | -        | -       | -           |
| 31 დეკემბერი 2024 | (490,915) | - | (586,629) | (13,325) | (9,211) | (1,100,080) |

საბალანსო ღირებულება

|                   |           |         |        |        |       |           |
|-------------------|-----------|---------|--------|--------|-------|-----------|
| 31 დეკემბერი 2023 | 2,698,535 | 970,103 | 27,402 | 11,166 | 2,364 | 3,709,570 |
| 31 დეკემბერი 2024 | 2,731,787 | 970,103 | 77,799 | 10,244 | 2,364 | 3,792,297 |

ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია საფინანსო ინსტიტუტისგან მიღებული სესხი. იხილეთ მე-16 შენიშვნა.

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                    | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|--------------------|----------------------|----------------------|
| ფურნიტურა          | 601,387              | 493,855              |
| ლამინატი           | 336,775              | 365,309              |
| სარემონტო საქონელი | 15,899               | -                    |
| სულ                | 954,061              | 859,164              |

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                                                   | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|---------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| მოთხოვნები ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან      | 941,750              | 941,750              |
| მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 151,821              | 122,410              |
| სხვა მოთხოვნები                                   | 227,436              | 214,756              |
| სულ ფინანსური მოთხოვნები                          | 1,321,007            | 1,278,916            |

## შპს “ზეერო”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

|                                    | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|------------------------------------|----------------------|----------------------|
| გადახდილი ავანსები                 | 89,323               | 111,616              |
| <b>სულ არაფინანსური მოთხოვნები</b> | <b>89,323</b>        | <b>111,616</b>       |
| <b>სულ</b>                         | <b>1,410,330</b>     | <b>1,390,532</b>     |

#### 14. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

#### 15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                              | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 40,231               | 160,108              |
| სალაროში არსებული ფული       | 38,405               | 41                   |
| <b>სულ</b>                   | <b>78,636</b>        | <b>160,149</b>       |

#### 16. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                                              | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|----------------------------------------------|----------------------|----------------------|
| ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები | 1,471,797            | 1,699,742            |
| საკრედიტო ხაზი                               | 210,510              | 244,670              |
| <b>სულ</b>                                   | <b>1,682,307</b>     | <b>1,944,412</b>     |
| გრძელვადიანი სესხები                         | 1,144,221            | 1,428,818            |
| მოკლევადიანი სესხები                         | 538,086              | 515,594              |

მიღებული სესხების რეკონსილაცია შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                      | 2024             | 2023             |
|----------------------|------------------|------------------|
| <b>საწყისი ნაშთი</b> | <b>1,944,412</b> | <b>2,028,945</b> |
| სესხის აღება         | -                | 244,670          |
| სესხის დაფარვა       | (335,819)        | (316,025)        |
| პროცენტის დარიცხვა   | 116,082          | 118,337          |
| პროცენტის დაფარვა    | (116,082)        | (118,337)        |
| საკუთსო სხვაობა      | 73,714           | (13,178)         |
| <b>საბოლოო ნაშთი</b> | <b>1,682,307</b> | <b>1,944,412</b> |

ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი წარმოადგენს სს თიბისი ბანკისგან მიღებულ დაფინანსებას. ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შენობით და მიწით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

|                       | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 606,335              | 591,698              |
| სხვა ვალდებულებები    | 47,595               | 63,107               |
| <b>სულ</b>            | <b>653,930</b>       | <b>654,805</b>       |